

სკვერებში გარემოვაჭრებისთვის კონკრეტული ადგილები გამოიყოფა



კახა კარაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ პარკებში გარემოვაჭრობის საკითხი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ამიტომ ბაღებსა და სკვერებში გარემოვაჭრების კონკრეტული, კეთილმწყობიერი ადგილები გამოიყოფა.

„ესენი არიან ადამიანები, ვისაც სოციალურად ყველაზე მეტად უჭირთ. მიმაჩნია, რომ ამ ადამიანების მიმართ თანადგომა ჩვენი მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა დავავალო პარკების ადმინისტრაციას, ასევე, ბედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურებს, მოკლე დროში ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ ადამიანებს ნორმალურად ვაჭრობის შესაძლებლობა მიეცეთ. პარკებში გამოიყოს კონკრეტული ადგილები, რომელიც უნდა იყოს კეთილმწყობიერი, რათა ამ ადამიანების საქონლის გაყიდვა ქაოტურად არ მოხდეს. მხედველობაში მაქვს არამარტუჭებადი საქონელი“, – განაცხადა კახა კარაძემ.